# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 3 აბაზი |

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 117

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 4 აგვისტო.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И".

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი „რადიუმი"

1, 2, 3, და 4, აგვისტოს 1913 წ.

პატე ჟურნალი.

**ჯოჯოხეთის ხეობა.**

დრამა 3 ნაწ. კატორღელების ცხოვრებიდან.

სამიჯნურო ზარათი

**დიდი კომედია** ყველას და ყველგან საყვარელის მაკს ლონდენის მონაწილეობით.

პროგრამის გარეთ:

მხიარული **მონა-ქალები**—მონანი შრომისა,

**დრამა 2 მოქმ.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

**იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**ვანცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „И М Е Р Е Т И"**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

თ. ა. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზია

უწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

**დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**

რომელნიც იხმარება ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

თფილისის მეორე რვაკლასიანი

**კომერციულ სასწავლებლის** ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში „ | „ | 13—16 წლ. |
| მეორეში „ | „ 11—14 „ | მეხუთეში „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ | „ 12—15 „ | მეექვსეში „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

**უ დ ი დ ე ს ი**

წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფათ.

ტრიკო,
კასტორი,
დიაგონალი,
ჩეჩუნჩა,
რაგოჟი,
ტილო,
პარუსინა,
ბატისტა,
კისეია,
შემიზი,
ჩითი.

**ქუთაისი.**

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

**კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.**

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა

**და ზაფხულის სეზონი**

პოპლინი,
მესალინი,
ფივრონი,
ლიბერტი,
ლევანტინი,
სტოლსაფრები,
„პოკრივალო",
პირსახოცი,
ხელსახოცები,
მადაპალამი,
ლანკორტი.

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ**

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

**ქ. ქუთაისში.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყო-ფი

**საბუღალტერო კურსები**

**გ. გ. გივინეიშვილისა.**

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)

**დაიკარგა**

კირილე დავითის ძის ქავჟანიძის უვადო **პასპორტის წიგნაკი** 1912 წ. 12 თებერვლის თარიღით, № 122. დაკარგულია იარაღის მოწმობაც სურათით. მპოვნელს ვსთხოვ ა. გვიჩიას მაღაზიაში მიიტანოს.

**ქირავდება**

ერთი ოთახი მეორე ეტაჟზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

**იყიდება**

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

**ა ქ ი მ ი** კ. ო. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი**

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## მეპროტესტენი.

(იხ. „განთიადი" 2 აგვის. № 2).

ამ გაზეთზეც იგივე ითქმის, რაც სხვა მისი გვარის გაზეთებზე: სახელი კარგი აქვს, შინაარსი კი უმზგავსო.

ისიც უყრის თავს ფანატიკოს მუშათა უცნაურ პროტესტებს და ლამის ამ უღირსი საშვალებით ჩამორეცხოს სამარცხვინო ჩირქი ილია ჭავჭავაძის ცილისმწამებელთ.

ამაოთ შვრება!

განა პროტესტებით შეუძლიათ გააქარვონ ილიას სისხლის ღაღადისი და დაამშვიდონ ოდესმე ქართველი ერის აღშფოთებული გული?!

უჯობსთ სდუმდენ.

ტყვილა ხვანცარიკობენ: ქართველი ერი არაოდეს არ აპატიებს დანაშაულს იმას, ვინც ჩვენს დიდ მგოსანს უშვერი ცილი დასწამა, და მეტადრე იმას, ვინც მისი მირონცხებული შუბლი ტყვიით განგმირა!

რატომ გვიცხადებენ პროტესტებს? იმიტომ, რომ ვგლოვობთ ჩვენს ეროვნულ სიქადულს, ჩვენს მოამაგესა და ჭირისუფალს?!

ან იმიტომ, რომ ვგმობთ მის მკვლელთა და ცილისმწამებელთ?!

მაგრამ ვის რა ხელი აქვს ჩვენს გულის ტკივილთან! დეე, ნუ იტირებენ იმას, რაც სატირლათ უნდა მიაჩნდეს ყოველ ქართველს: ისინი ხომ ეროვნულ გადაგვარებას აღიარებენ.

სთქვან ბარემ ცხადათ, რაც გულში აქვთ! ნუ ორპოფობენ!

სთქვან, ილია ქართველი ერის მტერი იყოო.

და მაშინ მათს პროტესტებსაც აეხდება ფარდა.

თვარა რასა გავს! ერთი მხრით ამართლებენ ფ. მახარაძეს და იმეორებენ მისი კორესპონდენტის მიერ შეთხზულსა და მის მიერ დადასტურებულ ჭორებს და მეორე მხრით ვითომ კიდევაც გმობენ ვერაგულ მკვლელობას.

მაგრამ, მართალი რომ ყოფილიყო ის, რაც ილიას დასწამეს, მკვლელებს მცირეოდენი გასამართლებელი საბუთი მაინც ექნებოდათ.

თუ კი ილია „ჯაშუში", „მაბეზღარა", გულქვა და შეუბრალებელი მემამულე იყო, როგორც ბძანებდა ფ. მახარაძე, რათ უნდა გაგვკვირებოდა მისი მოკვლა!

მეპროტესტენი კი ახლაც იმეორებენ ფ. მახარაძის ნათქვამს, ვითომ ილიას შესახებ რაც მან შესთხზა, ყველაფერი მართალი ყოფილიყოს!

ახლა კი მესმის, „დასელთა" მუშები რომ არ დასწრენ დიდი ილიას დასაფლავებასა და არ გაინაწილეს საერო გლოვა.

მათი რედაქციის წარმომადგენლის დასწრება კი ალბათ იძულებითი იყო: ის მოიყვანა უთუოდ ერის აზღვავებული გრძნობის წინაშე—შიშმა.

მაგრამ რა საჭიროა გამეორება: „დასელთა" გაზეთები იმ დღიდანვე ორპოფობდენ, მაგრამ ჯერ პირდაპირ სიტყვის თქმას ვერ ბედავდენ.

შემდეგ ერთი მათი ბელადი იქამდი გათამამდა, რომ ილია ნაფოტსაც კი შეადარა!

მათმა გაზეთმა მკვლელობის მეორე დღეს პირში წყალი ჩაიგუბა და სულაც არ ამოუღია ხმა. და, როცა აქით-იქიდან შეუცაცხანეს, უცნაური მოწინავე წერილი შესთხზა: გვიმტკიცებდა, ილია, როგორც მგოსანი უკვდავიაო.

ამ სიტყვებში ისახებოდა ილიას პუბლიცისტური და პრაქტიკული მოღვაწეობის უარყოფა!

მაგრამ რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ?!

ილიას მოკვლა—იდეური სიკვდილი იყო „დასელთა" პარტიისა: იმ დღიდანვე ინტელიგენცია მას თითქმის მთლად ჩამოშორდა.

დარჩენ მათ ფრთეთა ქვეშ, მხოლოდ გაფანატიკოსებული მუშები!

ვაი მათი ბრალი კი მათს ხელში!

დღევანდელი მათი პროტესტები ცხადათ ამტკიცებს მათს გონებრივს დაქვეითებას, ფანატიკურ დაბრმავებას.

და მანამდი არ იქნება მათი ხსნა,ვიდრე თავს არ დააწევენ ამ უიდეო და უიდეალო უკაცრავათ პასუხია პარტიის ბატონობას!

**ისარი.**

## მეტი რეალობა.

წინა წერილში საუბარი გვქონდა იმაზე, რომ ჩვენი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი საზოგადო საქმეშიც საპირადოს ეძებს ან არა და საპირადო „ხეირზე" გა-

დაყოლილი ფუქსავატ ცხოვრებას ეჩვევა და ამის გამო სამშობლო მიწა-წყალსაც კი გაურბის. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, ქართველთა თანამედროვე ცხოვრება წმინდა პრაქტიკულ გზაზე უნდა იდგეს და ნაყოფსაც რეალურს უნდა მიესწრაფოდეს, ისე კი, რომ ამით არც პირადი კეთილდღეობა გააქარწყლოს და მოქმედებას თავისას საზოგადო მნიშვნელობა მისცეს ე. ი. საზოგადოების სასარგებლო თანაწევრი შეიქნეს.

ათასწილ უფრო გამოსადეგი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა უფრო სხვა სარბიელს აირჩევდეს სამოქმედოთ და უმაღლეს ცოდნას სხვა დარგში შეიძენდეს. ჩვენი მშობელი მიწის სიმდიდრეს სხვა ერთა წარმომადგენლები შურის თვალით შესცქერიან და რომ ამ სიმდიდრეს ჩვენგანვე ეჭირვება გამოჩხრეკა-დამუშავება, თუ გვინდა, რომ ლუკმა ჩვენსავე ჯამში ჩავარდეს და ჩვენივე სიმდიდრით ჩვენვე არ ჩაგვწიხლონ. სიტყვამ მოიტანა და ეს მესამეთაა, იძულებული ვხდებით—შევეხოთ ჩვენს მეზობელ-სომხებს.

რა დასაფიცია ის გარემოება, რომ შედარებით ჩვენი მეზობელი ერი უფროა ყოველმხრით ჩვენზე უზრუნველყოფილი. მერე რა არის ყველა ამის მიზეზი? მაშინ, როდესაც ტრადიციათა მიმდევარ ქართველებს ხელი ხმალზე ქონდათ წავლებული და მტერს (საუბედუროთ ხშირად უძლეველს) შუა გაკვეთით ემუქრებოდა, მისი მეზობელი ხელში „ჩოთქით“ მტერთან მიდიოდა, მოხერხებული, ტკბილი სიტყვით მის სიფხიზლეს აფრთხობდა და მის სხვერპლს მანამ არ გამოელვიძებოდა, სანამ თავს გაკოტრებულათა გაფცქვნილათ და მშიერათ არ იგრძნობდა. და ასე ექცეოდენ ესენი არამც თუ მტერს, არამედ ისეთ ნეიტრალურსა და მათთვის არა საშიშ პიროვნების წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ და არიან ქართველი თავად-აზნაურები. ქართველ აზნაურთა სიმდიდრისა და მამულების უმეტესი ნაწილი დღეს იმათ ხელშია და თფილისში ხომ, ამ ქართველთა დედა ქალაქში, საჯირითო მოედანი სომეხ ვაჭრებს ხელთ ჩაუგდიათ და გადიან და გამოდიან. იმასაც კი აღარ ერიდებიან, რომ გურიის განმათავისუფლებელი მოძრაობა „დაშნაკცაკანებს“ მიაწერონ და მთელ ევროპას ამითი ყურები გამოუჭედონ, მერე რა არის ყველა ამის მიზეზი? რა და ის, რომ სომხობა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში გაცილებით უფრო დაახლოვებულია რეალობას, ვიდრე ჩვენ. მათ კაიხანია უკუაგდეს დამღუპველი ტრადიციები, დიდიხანია მაცთუნებელი ფანტაზიებისგან გათავისუფლდენ და მიზანსაც უფრო უახლოვდებიან, მდგომარეობაც უკეთესი აქვთ ვიდრე ჩვენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ხანი კაპიტალის ბატონობის ხანაა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ დროში ყოვლის შემძლე და თითქმის ყველაფერი ფულია და ვეცადოთ ცხოვრების მიმდინარეობას არც ჩვენ ჩამოვრჩეთ და იმ გზით წავიდეთ, რომელი გზაც პროგრესის მაჩვენებელია და მიზანს დაგვაახლოებს, მიზანს, რომელსაც ჩვენი კეთილდღეობა და უზრუნველყოფა ეწოდება. რამდენი მდიდარი მამულებია ჩვენს ხელში, რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ მამულებს, მაგრამ მას ზოგჯერ იმდენიც არ მოაქვს, რომ ამ მამულების მესაკუთრე ოჯახი გამოკვებოს. ჩვენი ახალგაზდობა დიდის ალტაცებითა და აფრთოვანებით ესწრაფვის იურიდიულსა გინდ მედიკურ ფაკულტეტს და მეურნეობას სავსებით ივიწყებს. იშვიათია ჩვენში უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი აგრონომი, იშვიათია—უმაღლეს სწავლა დასრულებული კომერსანტი და სხ. ახალგაზდობა სხვა ჩვენთვის ნაკლებ გამოსადეგს ფაკულტეტებსა და სამხედრო სასწავლებლებს უფრო ეტანება, ვიდრე რაიმე იმისთანას, რაც ჩვენთვის ყველაფერზე უფრო გამოსადეგია. ამიტომ გასაკვირალი არაა, თუ რათ შევხარით ქუთაისის ვაჭართა გადაწყვეტილებას და ახლათ შემდგარ „ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში კომერციული ცოდნის გამავრცელებელ ვაჭართა საზოგადოებას“.

ხსენებული საზოგადოების უახლოესი მიზანია—ქუთაისში საშვალო კომერციული სასწავლებელი გახსნას. საიდანაც კურსდასრულებულთ უფლება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ სწავლა. მით უფრო გასახარელია ჩვენთვის ამ საზოგადოების დაარსება, რომ ჯერ ჩვენ ამის მზგავსი არა მოგვეპოვება რა ქ—ში და მართალი გითხრათ, იგი ყოველი ტიპის სასწავლებელზე უფრო გამოსადეგია ჩვენში. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი მომავალი კეთილდღეობა სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო სასწავლებლებს უფრო საჭიროებს ვიდრე სხვას. გაქრა, წავიდა და წასულის არქივს ჩაბარდა ის დრო, როცა „თათქარიძეები“ ბუზებს ითვლიდენ და კუჭი მაინც მაძღარი ქონდათ, ამ დარგის პარაზიტებს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აღარა აქვთ, რადგან იგი ჩვენი ყოფაცხოვრების დამაკნინებელი და დამაქვეითებელი იქნება. სულ სხვა სიომ დაუბერა და ჩვენც იძულებული ვართ თანამედროვე სინამდვილის გამოძახილს გაფაციცებით მივუგდოთ ყური, ფხიზლათ მივსდიოთ ცხოვრების სვლას, არ ჩამოვრჩეთ მას და ყოველ შემთხვევას მომზადებული შევხვდეთ. მეტი რეალობა, აი, რას მოითხოვს ჩვენგან ცხოვრება და ჩვენც რეალური გზით უნდა ვიაროთ. დროა მომაკვდინებელი ხენი უკუვაგდოთ და საკმარისათ ვიფხიზლოთ. მოვუაროთ იმას მაინც, რაც ჩვენთვის ჯერ არ წაურთმევიათ და გამოუტაცნიათ. ამისთვის საჭიროა ჩვენი თეორეტიული ცოდნა პრაქტიკას დავუახლოვოთ და ამ ორი უძლეველი იარაღით აღჭურვილნი არსებობისთვის ბრძოლას შევუდგეთ.

იმერი.

# პრესა.

არა ერთხელ და ორჯელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეზე სხვები, გადამთიელები ითფობენ ხელს. ამის ნათლად და გამორკვეულათ დამამტკიცებელი საბუთი ჭიათურის შავი-ქვაა, სადაც მაღაროთა უმეტესი ნაწილი უცხოელ ექსპარტიორ-ექსპლოატატორთა ხელშია და ჩვენ კი მუდამ ხრონიკულ შიმშილს და სიღარიბეს განვიცდით. ყველა ვიგინდარა სარგებლობს ჩვენი გაჭივრებით და ხელიდან გვაცლის იმას, რაც ჩვენი ეკონომიურათ უზრუნველმყოფელი უნდა იყოს. აი, ახლაც გაჩნდა თუ არა გურიაში ნიშნები ნავთისა და მადნიანი ადგილების. მის გარშემო სხვადასხვა დარგის ჩარჩ-ბაცაცებმა შეიყარეს თავი, რომელთა მიზანია მდიდარი ადგილები გროშის ფასათ ჩაიგდონ ხელში.

„ერთმა ასეთმა ჩარჩმა მ...მ, ამბობს გაზეთი „Бат. день“-ი, ოზურგეთის მაზრაში სიამაშვილებისგან შეიძინა აგარაკი ცენტრაძისეული, ზომით 1,543 დესეტინა, 12000 კვ. საჟენი, დესეტინა 20 მანეთად. ვინც იცის, რომ მიწა სპილენძითაა სავსე, მას გაუკვირდება, რომ პატრონები ასე იაფათ შეელიენ ამ მამულს, მაგრამ უფრო გასაკვირალი ისაა, რომ მ—ს ჯერ მთლათ არ გადაუხდია ფული, მან ჯერ-ჯერობით 5 მანეთი გადაიხადა დესეტინაზე—ე. ი. ერთი მეოთხედი და დანარჩენი ოთხი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოსო“ და სხ.

აი, როგორი „გადიები“ სდარაჯობენ ჩვენს კეთილდღეობას...

# დღიური.

„ნოვოე ვრემია“ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შეეკითხა და მან პასუხათ შემოუთვალა: საფრანგეთს არ შეუძლია ოსმალეთს სესხი არ მისცეს, ვინაიდან ბანკების კონსორციუმში გერმანელები და ავსტრიელები სჭარბობენო.

— რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრი ათინას მიდის ბერძნებთან მეგობრული დამოკიდებულების მოსაწყობათ,

— ადრიანოპოლიდან ევროპას წავიდა ოსმალთა დელეგაცია. დელეგაცია ყველა სატახტო ქალაქს მოივლის და იშვამდგომლებს, რომ ადრიანოპოლი ისევ ოსმალეთს დარჩეს.

— ცნობაა—მეფე ფერდინანდი დასუსტდა და დასასვენებლათ მცირე ხნით საზღვარ გარეთ მიდისო.

— სერბია ჯარის დემობილიზაციის მოხდენას შეუდგა.

— რუსეთის თაოსნობით დიდი სახელმწიფოები ოსმალეთს ფინანსიურ ბოიკოტს უცხადებენ.

— კავალის საკითხში ავსტრიასა და გერმანიას უთანხმოება აქვთ.

— სერბია და საბერძნეთი გერმანიიდან 500 მილიონ ფრანკს სესხულობენ ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლათ.

— გერმანიამ გადაჭრით სიტყვა უარი ბუქარესტის დადგენილებათა ხელმეორედ განხილვაზე.

— რუსეთი ამიერიდან ბუქარესტის დადგენილებათა ხელმეორეთ განხილვა არ თხოულობს.

— ბალკანეთის საქმეებში რუსეთ და საფრანგეთს შორის სრული შეთანხმება მოხდა.

— ბელგრადსა, ათინასა, ბუქარესტ და ცეტინიეში ზავის ჩამოგდებას დღესასწაულობენ.

— ბაქოში გაფიცულთა რიცხვი 3 ათასს აღემატება.

— კიევში ფოშტის მოხელეთა რევიზია დასრულდა. ბოროტ-მოქმედების გამო რამდენიმე მოხელე სამართალში მისცეს.

# ნარკვევი.

„Русскія Вѣдомости“-ში კიზევეტერი ეხება იმ „საზოგადო მყუდროებას“ რომელიც ამჟამათ გამეფებულია რუსეთის ცხოვრებაში. იგი აღნიშნავს, რომ ირგვლივ სრული დუმილია გამეფებული. ყოველივე მუნჯობს, „არსაიდან ხმა, არის ძახილი“ მაგრამ დუმილი იგი გარეგნულია, იგი ლანდია დუმილის, და საკმარისია, რომ:

„გარეგანი დამაბრკოლებელი მიზეზები მოისპოს და ჩვენ სულ სხვა სურათს დავინახავთ! პარლამენტის საკანონმდებლო ერთ პარტიული სხდომებით აღინიშნება, გამართება პასიო დეპუტატებისა ამრჩევლებთან და ათასგვარი პროფესიონალური კრებები.

მართველ წრეებს ეჭვს გარეშე კარგათ ესმისთ უკეთესი ეს, და არ შეიძლება არც ესმოდეთ, რომ იძულებით დუმილი და მყუდროება, არის მხოლოდ ლანდი მყუდროების და არ შეიძლება რომ იგი საზოგადოების კმაყოფილებას გამოხატავდეს.

იგინიც არ...ან დარწმუნებული, რომ საზოგადოება, მასა კმაყოფილი და დამშვიდებული არ შეიძლება იყოს, თვარა მათ ასე არ შეეშინდებოდათ საზოგადო სულისკვეთებათა გამოაშკარავების... მაგრამ იგინი თუნდა ამ გარგნულისა და მოჩვენებითი მყუდროებასთვის არაფერს არ ავასუბ... იგი მათ შექნეს ხელოვნური—პოლი...რი ზომებით და თავს იტყუებენ, ს...ბიან ყალბი მყუდროების ლანდით, თა...ქე იგი ვისიმე დამშვიდებას მოასწავ...დეს...

როგორც ხედავთ ცოტა რამ ყოფი... საჭირო, იმისათვის, რომ რუსეთის ბი...როკრატმა მოსვენებით დაიძინოს. დ... აშლილი ძარღვები დაიმშვიდოს.

# ახალი ამბავი.

✦ დღეს, 4 აგვისტოს დეპუტატ... საკრებულოში დანიშნულია ქუთაისი... გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებ... კრება. ამ კრებამ მსჯელობა უნდა იქო...ნიოს კ. ბ. ლორთქიფანიძისა და ტ... ბა...კრაძის საქმის შესახებ.

მკითხველმა უწყის, რომ ხსენებულ პირ... ქუთაისის საოლქო სასამართლომ ორ... წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავ... გადაუწყვიტა. სამოსამართლო პალატ... ეს განაჩენი დაადასტურა. ამას წინათ ქ...თაისის გუბერნიის თ.-აზნაურთა კრებ... შეამდგომლობა აღძრა მთავრობის წინა...შე, რომ ხსენებული პირთ სასჯელი ...ტიებოდათ. მეფის მოადგილემ ამ შუამდგომლობას მსვლელობა არ მისცა ... დღევანდელ კრებას, როგორც ამბობე...

# საბრალონი.

(შენიშვნები).

ამ უკანასკნელ დროს მოხდა ისეთი ამბები, რომელთაც სულერთიანათ დაუბნიეს დავთარი აგრეთ წოდებულ დასელებს და დაუკარგეს მათ სულიერი წონასწორობა. მათმა მთავარმა შტაბმა იარაღ ქვეშ დააყენა ყოველი წევრი პარტიისა,—როგორც მხცოვანი და ნაცადი სარდალნი და მეომარნი, ისე უსუსურნი და შეუგნებელი ბალღნი. ყოველის მხრით მოაქვთ თავგამეტებული იერიში სოციალისტ-ფედერალისტების ბანაკზე. ყოველის მხრიდან მოისმის ბრაზმორეული ღრიალი დასელთა ჯარისა და შეუგნებელი ბრბოს ტალღებმა ლამის ერთბაშათ წალეკოს ყოველივე საუნჯე კულტურისა,—სიტყვისა და წერისა, სინიდისისა და რწმენის თავისუფლება, პიროვნებისადმი პატივისცემა და სხვადასხვა.

რამ აალელვა და აღაშფოთა ქართველ სექტანტების ბანაკი? რა მოხდა ასეთი საშინელი და რამ დააფრთხო ეს სახელოვანი ლაშქარი?

ოო, საშინელი ამბავი მოხდა, ფრიად უსიამოვნო და დაუვიწყარი ამ ლაშქრის სარდლებისათვის და უკანასკნელთ გამოუყვანიათ შეუგნებელი მაგრამ დისციპლინაში გამოწრთობილი ლაშქარი იმ ციხის გასანადგურებლათ, რომელსაც ეწოდება სინიდისის პატიოსნება და ამოდენა არმიას ყრიან წუმპეში და ზნეობრივათ ანადგურებენ მას!

პირველი დასელთა ლიდერების თავზარდამცემი ფაქტი ეკონომიურ ნიადაგზე მოხდა.

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭომ ამას წინეთ ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის და სოფლის შკოლების მასწავლებლების ადგილზე აირჩია რამდენიმე პირი, ხოლო მოხდა ისეთი საშინელება, რომ არჩეულთა შორის არ მოხვდა არცერთი ისეთი პირი, რომელიც მოსწონს დეგენერატ ფილიპე მახარაძეს და მის თანამოაზრეებს. ამ „თფილი ადგილების“ მოლოდინის გაცრუებამ დაუკარგათ დასელთა სარდლებს სულიერი სიმშვიდე და დაიწყეს მათ თავგანწირული იერიში და დაუშინეს ს.-ფედერალისტებს ლანძღვა-გინებით გატენილი ყუმბარები, ხოლო უმთავრესი ბრალდება ს.-ფედერალისტების წინააღმდეგ მათის მხრით ის იყო, ვითომ ს.-ფედერალისტებმა როგორც „თბილი ადგილების მოყვარულებმა“ ინსპექტორისა და მასწავლებელთა „თფილ ადგილებზე“ თავისიანები მოიწვიეს და პატივცემული ივ. გომელაური და ბ. ანთელიძე და სხვები არ მოიწვიეს. აქედან მკითხველს შეუძლია ორი დასკვნა გამოიყვანოს: 1. ინსპექტორის და მასწავლებლის ადგილი „თფილი ადგილია“.

2. „თბილი ადგილისკენ“ მიზიდულობა სამარცხვინო საქციელია.

ამის შემდეგ პირდაპირ გაუგებარია, როგორ ახსენებენ თავის მეგობრებს და ამხანაგებს რომ მათ უჭირავთ სამარცხვინო „თფილი ადგილი“ ადგილი მასწავლებელისა, და როგორ და რა პირით უსაყვედურებენ საბჭოს, რომ მან იხსნა ზემოხსენებული პატივცემული პირნი მეტი დამცირებისაგან და არ შესთავაზა მათ კიდევ უფრო „თფილი ადგილი“, ვიდრე მასწავლებლის ადგილია!

მაგრამ დაცინვითი ღაღადი „თფილ ადგილებზე“ მხოლოდ სიტყვებია, ცარიელი და გაბერილი სიტყვები, თვარა როცა საქმე ცხოვრებაზე მივა, აქ სულ სხვა სურათსა ვხედავთ. ცოტა არის დასელთა შორის ისეთი, რომელიც „თფილ ადგილებს“ არ შეტრფოდეს, ხოლო ეს „თფილი ადგილი“—სხვადასხვა სახით გამოიხატება. ზოგისთვის ეს „თბილი ადგილი“—გამოიხატება სუბსიდიაში, რომელსაც ისინი ღებულობენ რომელიმე ბურჟუასაგან, რომელიც ამით ცდილობს იყიდოს უფლება მუშათა ექსპლოატაციისა, ზოგის სინიდისს საქართველოში გადამწვართა და დარბეულთა სასარგებლოთ ხარბინში შეკრებილი, მაგრამ დანიშნულებამდის არ მიღწეული ფული ამძიმებს, ზოგი სხვადასხვა კანცელარიებში სხედან ხან „თფილ ადგილებზე“ ხანაც „თფილი ადგილების“ მოლოდინში ზოგიც საზოგადო საქმეს მოქცევია სათავეში, და არსათ ბ.ბ. დასელთ განსაკუთრებული მტრობა ქანქარისადმი არ გამოუჩენიათ! პირიქით, ხანდახან ღმერთი სინიდისისა და საზოგ-დო ინტერესები დაიწყებიათ და ბრჭყვიალა კერპისათვის უცდიათ თაყვანი! სხვისთვის იგი დაშურებიათ, როგორც საზოგადოების გამრყვნელი საქონელი, თვითონ მიუთვისებიათ იგი და გაუთავისუფლებიათ საზოგადოება ამ ლამაზი მაგრამ ადამიანის ღირსების დამამცირებელი კერპისაგან. და როცა ასეთ ვაჟბატონებს ბრალდებულთა სკამზე დასვამენ, დასელთა ლიდერები ასტეხენ განგაშს, რომ ძალმომრეობა ჩაგრავს მშრომელი ხალხის მეგობართა და მოამაგეთაო! საბრალონი არიან ისინი, რათა არ ხედავენ თავის თვალში დვირეს..

—

მეორე ფაქტი, რომელმაც მათ სინიდის ნესტარი უჩხვლიტა, იყო შემდეგი.

არსებობს ერთი სულიერი, რომელსაც ფილიპე მახარაძე ეწოდება. ამ სულიერმა, რამდენიმე თვის წინეთ, მის აზრის და გრძნობათა გამზიარებელ გაზეთებში დაიწყო ლაპარაკი დიდებულ ილიაზე ისეთის ურცხვი კილოთი, რომ ილიას სახელის პატივისმცემელნი იძულებული გახდენ გაეხსენებიათ ამ თავგასული არსებისათვის ის ყოვლათ საზიზღარი ცილისწამება, რომელიც მან გაავრცელა შეუგნებელ ხალხში ჟურნალ „მოგზაურის“ საშვალებით ილიაზე და რომელმაც, ეჭვი არ არის, ხელი შეუწყო მტრული განწყობილების შექმნას ილიასადმი, რამაც კიდეც იმსხვერპლა ეს დიდებული ადამიანი!

ამ გახსენებამ ისე აურია გონება ამ არსებას და მის მეგობრებს, რომ მან გაბედა და კიდე წამოიყრანტალა, ილიაზე რაც დაიწერა, მართალიაო, ე. ი. ბ. ფილიპე მახარაძე კვლავ ურცხვათ იმეორებს, რომ ილია ჯაშუში იყო, მძარცველი იყო, კაცის მკვლელი იყო და სხვა და სხვა.

როცა „სახალხოელნი“ ასეთ ურცხვს და შუბლგატეხილ ცილისმწამებელს შეებრძოლენ, დასელების ლიდერებმა მიმართეს თავის ჩვეულებრივ ხერხს, ხალხში ზემომოყვანილი ამბებისგან მოხდენილი ცუდი შთაბეჭდილების გასაბათილებლათ; მათ შეთხზეს პროტესტები, *) დაატარეს ხალხში და მოაწერინეს ხელი!

საბრალო პროტესტანტები! არ იციან რას სჩადიან! დიდებული ილიას შეურცხყოფით ცდილობენ დეგენერატი ფილიპე მახარაძის წუმპიდან ამოყვანას! ბატონყმობის მოსპობისათვის პირველ მებრძოლს, შრომის სუფევის მქადაგებელს, თანასწორობის, ერთობის და თავისუფლების წინასწარმეტყველს ტალახში სვრიან, რათა ამით სულით ავათმყოფი ფილიპე მახარაძე, ზნეობრივათ მკვდარი ცილისმწამებელი, ხალხს კეთილ სულათ მოაჩვენონ! საბრალონი არიან ისინი, რათა არ იციან, რა სასამარცხვინო საქმეს სჩადიან! არ იციან, თუ როგორ სწამლავენ საზოგადოებრივ ატმოსფერას და უკლავენ ხალხს ყოველივე ალღოს საქვეყნო ინტერესებისას, საზოგადოების წინსვლისას, პროგრესისას!

—

ყველაფერი ეს არ იკმარეს „თანამედროველებმა“ და ს. ფედერალისტებ... წინააღმდეგ გამოიყვანეს ვიღაც, მათთვ... ალბათ ფრიად საიმედო ფალავანი—ნ...რიძე. მან, თანახმათ გაზეთის მიერ წ... დაწინვე გამოცხადებისა, 28 ივლის... ნუმერში მოათავსა წერილი. არ ვიც... ყოფილა ოდესმე ბ. ნარიძე სფალ...ნოთ გამოსადეგი მწერალი თუ არა, ხო...ლო დღევანდელი მისი წერილი კი ამ... სრულებითაც არ ამოწმებს. იგი ლი...რატურული თაღლითობით, ლოღიკუ... ნახტომებით, უსაფუძვლო ბრალდებებ... და უტიფრობით ძლიერ წააგავს 19... წელს სანდონების გაზეთში დაბეჭდ... წერილს ვიღაც ნ. ჟ.—სას ილიას მო...ლის შესახებ და ვიღაც ანის წერილ... ქართველი ხალხის ნაციონალიზმის ...სახებ.

მაგრამ ბ. ნარიძის წერილის უფ... ვრცლათ გარჩევას და მისი ავტო... დახასიათებას მე დავუბრუნდები შემდ...ში, როცა ის ვეღარ მოითმენს ... კვლავ გამოფენს გაზეთის ფურცლებ... თავის ზნეობრივსა და გონებრივს ავ...ლიდებას, ხოლო მანამდი კი განისვენ... მშვიდობით. ხოლო დღეს არ შემიძლ... კვლავ გულწრფელი მწუხარება არ ...მოვსთქვა და აღვიარო, რომ საბრალ...ნი არიან ისინი, ვინც ბ. ბ. ნარიძე... ან-ებს და მათ გვარებს საბელზე ყ... გამობმული და მიათრევენ, საითკ... მოისურვებენ, საბრალოა მკითხველ... რომელიც ნელ-ნელა იწამლება სექტ...ტური ლიტერატურით! საბრალონი არ...ან, თვით ლიდერები დასელებისა, რა...გან თავისი გაუვითარებლობის და ...ნატიზმის წყალობით ძირს უთხრიან ...ხეს, რომლის გაძლიერება და აყვავ... მიზნათ დაუსახავთ!

№.

*) პროტესტანტთა შორის ყველაზე უფრო ურცხვი და უტიფარი აღმოჩნდა ერთი ჯგუფი სტუდენტებისა, რომელთა პროტესტის შესახებ ცალკე წერილი გვაქნება დასტამბული.

...ხლათ სურს შუამდგომლობა აღძრას. ...თ.-ამხანაურობას შეუძლია ისარგებლოს ...ნით მინიჭებული უფლებით და პირ...პირ თავის წინამძღოლის პირით უქვე...რდომილესათ მოახსენოს მის უდიდე...ულესობას თავისი თხოვნა.

✦ დღეს ბორჯომში ქ. შ. წ. კ. გა...ვრცელებელი საზოგადოების სასარგებ...ოთ გაიმართება სალამო სეირნობა. სა...ლამოში მონაწილეობას იღებს ადგილობ... მომღერალთა გუნდი ნაციონალურ ...ნსაცმელში.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის ად...მინისტრაცია რუსული ენის მასწავლებ... გ. ნათაძეს იწვევს. ბ-ნი ნათაძე ამ ...მთ თფილისის ქართულ გიმნაზიაში ...სწავლებლობს. იგი შარშან გადავიდა ...ფილისში და მანამდი კი 3 წლის გან...ვლობაში ქუთაისში მასწავლებლობდა. ...ნათაძეს კარგათ იცნობს ქუთაისის ...ზოგადოება და დიდი პატივისცემაც ...ვს მას დამსახურებული.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოე... საბჭომ 1 აგვისტოს კრებაზე გადაწ...ტა: 1914 წელს თფილისში მოწვეუ... იქნეს სამელიორაციო კრება, რომე... ივნისის პირველ რიცხვებში უნდა ...ხდეს.

✦ აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის ...ველ რიცხვებში შავი ქვის მრეწველ... საბჭო სტიპენდიათა გამნაწილებელ ...მისიასთან ერთად გაანაწილებს სტი...პენდიებს. სულ 7 სტიპენდიაა. 1—600 ...მნეთიანი და 6—300 მან. სტიპენდიები ...ურიგდება შავი-ქვის მრეწველთა შვი...ებს.

✦ გურიიდან იწერებიან, რომ გვალ... ნათესი გადაახმოო.

✦ გაზეთ „ზაკ. რეჩის" რედაქტორი ...0 მანეთით დააჯარიმეს ჭიათურის მუ...ა გაფიცვის შესახებ წერილის მო...ესების გამო.

✦ თფილისში მეორე კადეტთა კორ...ს ხსნიან.

✦ ხმებია ქუთაისში მესამე ნოტარიუ... ადგილი არსდება და ამ თანამდებო...ე ფოთის მომხმარებელ მოსამართლეს ...ოჩაშვილს ნიშნავენო.

✦ სექტემბერში თფილისში ჩამოვა ...რალ-კონტროლიორი ჟაროვიცკი, ...ელიც კავკასიის რკინის გზათა კონ...ოლის რევიზიას მოახდენს.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოე... მიწის-მოქმედების დეპარტამენტისა— ...500 მანეთი მიიღო. ამ ფულით საზო...დოება სამეურნეო იარაღების გამოფე... მოაწყობს შემოდგომაზე.

# კ ვ ი რ ი კ ე.

...იდი ოსტატია იმერელი კაცი. თუ ...პირდა—რომ იტყვიან—ქვიდან ძმარს ...მოადენს... და ქვიდან კი არა, თვარ ...ოთხილდი, ცხვირიდანაც გამოგადენს ...ს.

...ინტილა რომ პატარა ხვლიკი, მისი ...იყოს, გაძვრება-გამოძვრება და საცა ...ფიქრობ, იქ ამოხვანხვალდება, პირში ...ყვა პასუხი მისთანა აქვს, რომ კრავზე ...ავესი, თაფლზე უთაფლესი, დაბალზე ...მბლესიაო—იტყვი მარა ზურგს უკან— ...ვაა!—ორმოსა და ხრამს გითხრის მი...ნას, რომ ფრთიანი—რქიანი რაშითაც ... ვერ გადაახტები.

...ან მარჯვე კაცია, მარა ნდობით— ...ვაჰ!—ვერ ენდობი. ისე გაგიცურებს, ...გაცურებს და არ მოგიმდურებს. რე...ში ყოველთვის ჩამოირჩენს მისთანა ...დებს და ჩაგიქარაგმებს, რომ გაცე...ბული და ყინულზე დარჩენილი ბო... საყვედურს ისევ შენს თავს ეტყვი. ...მ მოსთვლის იმერეთში რამდენს უთ... ასეთი საყვედური თავისთვის.

...ირათ უნახავს ვისმე აქ ხეირი... ეს ...მარა ამ ქუთაისში ე ბანკი რო ბან...იხსნება—ვერ გამიგია...

...ველი კაცი იმას ჩივის—ფული ...ო, ვაჭრობა დაეცა. ბევრი გაკოტრ... ბევრი „ოჩერშია", მარა ოთხი კაი ... ბანკი იყო აქამდი და ახლა მეხუ... მიემატა.—გუშინწინ აკურთხეს.

... თაფლი ნახეს ამ ქუთაისში ყაირა...მა და ჩოთქის ხალხმა—სომხებმა ...ბანკი გახსნეს ვერა გავიგე-რა.

...ით იმერელ-სომეხს ძალიან მოსწრე...ათ უთქვამს ამ ახალი ბანკის თაო...:—

... ეგენი რასაც მოიგებენ—ბოლოს ...ებენ. ერ..ი ხელი აიღე—პოქოლუს ...ცი, რას გებნები: ინდოეთში ერთი ...ის მაგვარი ხილია—ისემე ქოქსს ეტყვიან, ორი მუჭის ტოლაა, კანი მაგარი აქვს—ჩაქუჩი დაკრა—ვერ გატეხავ. ამიტომაც ჰია-ჰუა-ღუა ვერას აკლებს, ვერ შემძვრალა შიგა... მაგრამ ერთი წვრილი, ნემსივით წვრილი ჭია, გახვრეტს და შედის... შედის თუ არა, რაც შიგ ზეთი და გული თუ ცილი არაა, ერთიანად შესჭამს... ახლა ამდენი რო შესჭამა და ამოტელა რო გახდა, იქედან გამოსვლა არ უნდა?! შენც არ მომიკვდე. უნდა იჯავროს, დასქდნეს, დაილიოს და ჩამოხმეს, რომ იმ წვრილი ნახვრეტით უკანვე გამოძვრეს... აი, იმერეთიც ეს ქოქოსია:—ბევრი მოხულა, შემომძვრალა, გასუქებულა კიდევაც, მაგრამ ბოლოს აქედან ხეირი არვის გაუტანია, ძმავ, არა .. მითქომს და ვიტყვი კიდევაც.

ეს ქოქოსი ხო ქოქოსია, მარა ეს მანდი. კორელი ხუცესი რა სორტის ხილი უნდა იყოს—ვერ გამოვიცანი, მანდიკორი იცით, სადაა? ოკრიბაშია განაპირას... ვინმე ბრეგაძე ყოფილა ხუცესი, რუსულათ უბრეგია წირვა თურმე ერთ კვირას. მარა შენს მტერს დავთარი დაბნევია—დიაკონს, მგალობლებს, მნათესა და მრევლსაც დავთარი დაბნევიათ. კამენდია ყოფილა ნამდვილი, რეჟისორიც ყოლიათ ერთი მეჩიქორთულმოპარუსკე, რომელიც საკურთხეველსა და დიაკონ-მგალობელ-მღაღადებელ-მრევლს შორის მირბი-მორბოდა თურმე და იძახოდა: ახლა ეს წაიკითხე, ეს იგალობეთ, პირჯვარი, მელანია. მარა ნამეტანიაო იყვირა მრევლმა და აირია მონასტერი. ერთი ღენერალსკი რეპეტიცია შაბათს სალამოს მოაწყვეს თურმე, მარა წარმოდგენა მაინც ცუდათ „ჩატარდაო"...

ვგრძნობ, კარგათ ვგრძნობ, რომ ამ კილოთი წერა არ უდგება ამ საგანს, სრულიადაც არ უხდება, მარა რა გააკეთა ჭეშმარიტმა საბუთებმა, ნამდვილმა მტკიცებამ, დინჯმა საბუთიანმა კილომ წერისამ... ბ. აბაკელიაც აბაქებულა, რო ბახმაროზე რუსულათ წაუკითხავს ლექცია ჰლექზე და ჰლექში ჩაუგდია სალი ჰერით გამოკვებული ხალხი...

და ათასი დასაბუთებული, მაგარი პროტესტი... აჰ, თფუ! ვიჯმნი ეშმაკისაგან! ქრისტემ დასწყევლოს, ვინც ეს სიტყვა ჩვენს ენაში შემოიტანა... პროტესტი. ჟესტი, ბესტი, ჩესტი!.. აი, ჯიხაიშიდანაც კი იყო ერთი პროტესტი და შავრაზმელ გაზეთებს მიაკრეს ჟესტი... სხვათა შორის, ამ პროტესტზე ხელს აწერდა ბ. გედაზანია... მეორე-მესამე დღეს ამ შავრაზმულ ერთ გაზეთთაგანს მგოსანმა გედამ გაუკეთა ჩესტი და ერთი უშველებელი ლექსი გააშანშალა შიგ. ბ. გედაზანიამ გელა ბესტში ჩასვა.

აი, პროტესტი და, ჩესტიც თუ გინდა ასეთი უნდა! ეიჰა! როგორ გახუნდა ჩვენი ჩესტიცა!.. მახლას!..

**კვირიკე.**

# მშრომელი ხალხი.

**ბაქოს მუშების ცხოვრება.** ბაქოში მუშის ორი წილი კაზარმებში ცხოვრობს. კაზარმებში ცხოვრება გიგიენის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს, ჰაერი ცუდია და გაზითაა მოწამლული 662 კაზარმაში ნახეს ბაღლინჯოები. სიცივის დროს ქარი თავისუფლათ ქრის. ერთს ოთახში დაახლოებით ოთხი კაცი სცხოვრობს. ოთახი პატარაა, ვიწრო და ოთხი კაცის ცხოვრებით ჰაერი იწამლება.

**გაფიცულ მუშათა კრება** პეტერბურგში 28 ივლისს ფორტოფიანის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა კრება გამართეს კრებაზე გადასწყვიტეს, რომ გაფიცვა მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებამდი გააგრძელონ.

**გაფიცვა ობუხოვის ქარხანაში.** პეტერბურგში ობუხოვის ქარხანაში დიდი გაფიცვა მოხდა. გაფიცვა შემდეგმა ამბავმა გამოიწვია: რამდენიმე დღის წინათ ქარხნის დარაჯმა მუშას სცემა. ამის შესახებ კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს მოსთხოვონ ქარხნის ადმინისტრაციას დარაჯის დათხოვნა. მუშებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. 27 ივლისს მუშების ერთმა ნაწილმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარადგინეს. მოთხოვნილების წარმდგენი ყველა დაუყონებლივ დაითხოვეს. მუშებმა ისევ გამართეს კრება და გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება.

**გადასახლება.** პეტერბურგში ივნისის გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის დაპატიმრებული 13 მუშა ციხიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლებულებს ებძანათ 3 დღის განმავლობაში დასტოვონ პეტერბურგი. მათ ეკრძალებათ სატახტო საპორტო და საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრება.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 28 ივლისის პეტერბურგის გაფიცულ მუშების ბინებს ჩხრეკდენ. რამდენიმე მუშის ბინა ბინის პატრონის დაუკითხავათ გაჩხრიკეს დააპატიმრეს ორი მუშა. პეტერბურგის ზოგიერთ ქარხანაში მუშათა გაფიცვა მუშების დამარცხებით დასრულდა. ზოგიერთი გაფიცულები სამუშაოთ აღარ მიიღეს.

# რუსეთი.

**ხომიაკოვი.** მესამე სათათბიროს თავჯდომარეს ნ. ხომიაკოვს წამლის ნაცვლათ შეცთომით საწამლავი დაულევია. ავათმყოფის საშველათ საჩქაროთ მოიხმეს ექიმები, მაგრამ მისი ჯანმრთელობა საშიშ მდგომარეობაშია.

**სტუდენტების მიღება.** სახალხო განათლების მინისტრმა კასომ პეტერბურგის უნივერსიტეტს გაუგზავნა სია იმ მოწაფეთა, რომელიც 1910 და 11 წლების არეულობაში მონაწილეობის გამო დათხოვნილი იყო, ხოლო დღეს კი მიღებულია. სიაში აღნიშნულია სულ 63 გვარი.

**დამშეულთა დახმარება.** პეტერბურგის ეკონომიურმა საზოგადოებამ გამოსცა ანგარიში იმისა, თუ რამდენი შეიკრიბა 1911 წლის 15 სექტემბრიდან 1912 წ. 15 სექტემბრამდი. დამშეულთა დასახმარებლათ საზოგადოებას სულ 222,185 მანეთი შეუკრებია. 22,039 მანეთი შემოუწირავს ინგლისის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს. საზოგადოება საანგარიშო წელს დამშეულებს 202,892 მანეთით დახმარებია.

**ლესია უკრაინკას დასაფლავება.** ლესია უკრაინკა დიდი ამბავით დაასაფლავეს. კიევის სადგურზე, სადაც უნდა მოესვენებიათ მისი, გვამი ბევრი ხალხი დახვდა. იყო დელეგატები გალიციიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, უმანიდან და სხვა ქალაქებიდან. დასაფლავებას დაესწრო უკრაინის ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იყო 30 გვირგვინი გვირგვინებს წითელი ლენტები წარწერებით პოლიციელებმა მოაცილა.

**სამეურნეო შკოლები.** მიწის მოქმედების დეპარტამენტმა დაასრულა სამეურნეო შკოლების სტატისტიკის შედგენა. სტატისტიკა ეხება 1912 წელს. 1912 წელს ამ ტიპის შკოლების რიცხვი ყოფილა 305. ამათში უმაღლესი ტიპის შკოლა ყოფილა რვა. საშვალო 17 და დაბალი 44. 1912 წელს ამ შკოლების საჭიროებაზე დახარჯულა სულ 7.417,854 მანეთი. მოსწავლეთა რიცხვი ყოფილა 18,673. კურსი 2,545 მოწაფეს დაუსრულებია.

# უცხოეთი.

**სუფრაჟისტები.** სიტყვის თავისუფლების დამცველმა კოიიტეტმა, რომლის შემადგენილობაში მუშათა დეპუტატები და რადიკალებიც შედიან, დემონსტრაცია გამართა, დემონსტრაციის მიზანი იყო პროტესტი გამოეცხადებიათ მთავრობისათვის, სუფრაჟისტთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვის გამო ლენსბერნის საში თვით დაპატიმრებისათვის. დაპატიმრებულმა ლენსბერმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა და სამი დღე არაფერი სჭამა. ლენსბერნი დროებით გაანთავისუფლეს და ახლა ისევ უნდა ჩასვან ციხეში. კომიტეტის მიერ მოწყობილ დემონსტრაციას 40 ათასი კაცი დაესწრო. დემონსტრაციაში მონაწილეობას უმთავრესათ სუფრაჟისტი ქალები და მუშები ღებულობდენ. რიგი ორატორებისა ამტკიცებდენ ლენსბერნის დაპატიმრება სიტყვის თავისუფლების დარღვევაა. სიტყვა წარმოსთქვა ლენსბერმაც. ხალხი მას დიდი ოვაციებით მიეგება. დემონსტრაციას შემდეგ ხალხი ინგლისის მთავარ მინისტრის ასკვიტის სასახლისაკენ გაემართა. მათ წინააღმდეგობა გაუწია 4 ათასი პოლიციელმა. აქ პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის მოხდა ხელჩართული ჩხუბი. ჩხუბი სამ საათს გაგძელდა. ლენსბერნის ამომრჩეველმა მუშათა ოლქმა გაფიცვა გამოაცხადა და პოლიციელებს რომ არ დაპატიმრებიონ თავის დეპუტატის ბინას დარაჯობენ.

**ჰოლანდიის სოციალისტები.** ამსტერდამში ჰოლანდიის სოციალისტთა კრება დასრულდა. 375 ხმით წინაღმდეგ 325 ხმისა უარყვეს რეზოლუცია, რომელიც თხოულობდა სოციალისტებმა კაბინეტში მიიღონ მონაწილეობა. ასე ამ რიგათ სოციალისტთა პარტიის მარცხენა ფრთამ გაიმარჯვა. ორატორები მსჯელობის დროს საზღვარს გადაცდენ. კამათმა ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო. ორატორები ბოლოს, ერთმანეთის პიროვნებასაც კი შეეხნენ. მიიღეს რეზოლუცია. რომლის ძალითაც კრების გადაწყვეტილებას ყველა უნდა დაემორჩილოს.

**ჩინეთის ამბები.** შანხაიში არსენალის 2500 დამცველმა ვუზუნსკის ფორტზე იერიშის მისატანათ წავიდა. ცნობაა ნანკინი ისევ ჩაუვარდა სამხრეთლებს ხელშიო. პეკინში ახლა მშვიდობიანობაა. სამოქალაქო ომი პეკინს ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სახელმწიფო კასა ცარიელდება. მოსალოდნელია ამის გამო არეულობამ ისევ იჩინოს თავი. ბევრის მორჩილება ფულითაა ნაყიდი. პეკინში არსებული ყველა დამოუკიდებელი გაზეთი დაიხურა. იაპონიის მთავრობამ განაცხადა ჩინელ პოლიტიკურ ემიგრანტებს არ მივიღებო.

# სახალხო მასწავლებლები.

ხშირათ გაისმის ჩვენს საზოგადოებაში საყვედურის ხმები მასწავლებლების მიმართ. ჩვენს მასწავლებლებს საკმაო სწავლა-ცოდნა არა აქვთ, საჭირო მთავრობის ყოველგვარი ბძანების მონურათ ამსრულებელი არიან, მტრობენ თვით დედაენასაო და სხვები. მე არ გამოვალ აქ მასწავლებელთა დამცველათ, ვიტყვი მხოლოდ რასაც ვფიქრობ მათ შესახებ.

მართალია, დიდათ განვითარებული და შეგნებული მასწავლებლები არა გვყავს. ზოგს სემინარია აქვს დასრულებული, უმეტესობას კი სამოქალაქო სასწავლებლები და იქ არსებული კურსები. თვით განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს; სახალხო მასწავლებლებს რომ გარემოება ხელს უწყობდეთ, შეეძლოთ დაწაფებოდენ კითხვას და შეევსოთ ნაკლი; მაგრამ. საუბედუროთ ბევრი მასწავლებელი იძულებულია უარყოს მისწრაფება მეტი სწავლის შეძენის და იზრუნოს იმისთვის, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს... აბა რა ჯამაგირი აქვს მასწავლებელს, რომ მას ამ ფულით შეეძლოს თავსა და ოჯახს უპატრონოს, აგრეთვე შეიძინოს წიგნები და ხელი მიყოს თვითგანვითარებას! რა უნდა ქნას 28 მანეთმა და ერთმა აბაზმა? კიდევ კარგი, თუ მასწავლებელს არ ყავს ცოლშვილი, არ ყავს დედა, მამა, ძმა-დები—ოჯახი; მაშინ, როგორც იქნება. გაძლებს, შიმშილი არ მოკლავს. მაგრამ თუ მასწავლებელს საპატრონო სხვებიცა ყავს—ყელამდი ჩაჯდება ვალში. მდგომარეობა აიძულებს მას გამონახოს როგორმე დრო და კერძო გაკვეთილები იშოვნოს, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ დაბებსა და ზოგიერთ სოფლებში. ბევრი მიყრუებულ ადგილას, კი მოწაფის შოვნა შეუძლებელია. მეორე; აქვს კი მასწავლებელს იმდენი დრო, რომ თავის პირდაპირი მოვალეობაც შეასრულოს პირნათლათ და კერძო გაკვეთილებიც აიღოს? 5 საათი ბავშვების სწავლება. ორი საათი რვეულების გასწორება. გაკვეთილებისთვის მომზადებას კიდევ დრო სჭირდება... ახლო, აღარ უნდა შეისვენოს ნაშრომმა კაცმა?.. ფაბრიკა—ქარხნებში 8 საათის მუშაობაა მასწავლებლებისთვის კი გაცილებით მეტი! ვფიქრობ, მასწავლებლებს სრულებით არა აქვთ იმდენი დრო, რომ მიატოვონ სწავლების საქმე და სხვა სამუშაოსაც მოკიდონ ხელი. მაგრამ რა ქნას, როცა არ ყოფნის ჯამაგირი? ბევრ მასწავლებელს ნავალები ფულით დაუსრულებია სწავლა, მაგრამ რა ქნა,ს როცა არაფერი რჩება თავისი ჯამაგირიდან ვალის გასასტუმრებლათ?.. თავისი მდგომარეობა აიძულებს ბევრ მასწავლებელს, როცა ღალატობენ წმინდა საქმეს—სხვების ნაკარნახები გზით მიდიან. აქ, რასაკვირველია, იმასაც აქვს გავლენა თუ რაგვარი აღზრდა მიიღეს: ზრდიდენ მათ მონებათ, თუ ადამიანებათ.

თითქმის ყველა მასწავლებელმა იცის მხოლოდ ერთი ხელობა—სწავლება. (იცის კი ყველამ?) როცა მასწავლებელს სათანადო მთავრობა ადგილის წართმევით ემუქრება, მაშინ ეს მისთვის (მასწავლებლებისთვის) ღვთის წყრომაა, აბა, რათი ირჩინოს შემდეგ თავი? მოკვდეს შიმშილით?.. არ კმარა, კაცმა მარტო ერთი რამე ხელობა იცოდეს. ცხოვრება მწარეა. კაცი ხშირათ იძულებულია მიატოვოს ერთი საქმე და სხვა საქმეს მიჰყოს ხელი. საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობა ღებულობდეს მეტ პრაქტიკულ ცოდნას; ჩვენი სასწავლებლები ყოველმხრივ განვითარებას უნდა იძლეოდეს. ოჯახშიც უნდა შეეჩვიონ შრომა-მუშაობას. შრომის მოყვარე და მცოდნე კაცი მონურათ ქედს არავის მოუხრის.

ნათქვამით მე არ ვამართლებ მასწავლებლებს. ვამბობ მხოლოთ, რომ იმათ მდგომარეობას დიდი გავლენა აქვს მათ მუშაობაზე. მაგრამ სწორეთ ამ დროს არის საჭირო მეტი სიფხიზლე და ენერგია, თვარა კაი პირობებში მუშაობა, რასაკვირველია, ადვილია.

საქმე ის არის—ამ სულის შემხუთველ პირობებში დააღწიოს კაცმა თავი უსამართლობას და წმინდა მიზნით გატაცებულმა არ დაიშუროს ძალი და ღონე, რათა პირნათლათ ასრულებდეს თავის მოვალეობას და ქედს არ უხრიდეს არავითარ ბძანებას, მუქარას...

საჭიროა სოფლის მასწავლებლები ჩაუკვირდენ თავის მდგომარეობას, მხოლოდ მათვე შეუძლიათ გაუმჯობესონ თავის ცხოვრების პირობები, თვარა მოწყალებას არავინ გამოიღებს მათთვის. გაიძახოდენ, ჯამაგირს მოუმატებენ მასწავლებლებსო. და აი, გამოქვეყნდა კიდეც კანონი. კარგია, ვისაც 20 წელი ან მეტი უმსახურნია.

ვიმეორებ,—საჭიროა მასწავლებლები ჩაუკვირდენ თავის მდგომარეობას. საჭიროა, გაქრეს ყოველგვარი შუღლი მათ შორის... სიყვარული უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან და შეერთებული ძალღონით ეწეოდენ მძიმე უღელს სწავლებისას.

დე, კვლავ ნუ გაისმება მასწავლებელთა შემარცხვენელი საყვედურის ხმები...

**გერესიმე.**

# დ ე დ ა.

**ინდოეთური ზღაპრიდან გადმოღებული.**

ისინი ბედნიერათ ცხოვრობდენ. ქმარი ხვნა-თესვას მისდევდა და მეუღლეთ მისი ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი—დირინე იყო.

ერთხელ დირინე მდინარესაკენ წყალის მოსატანათ წავიდა. ქალს თვალი მოკრა ნადირობიდან დაბრუნებულმა დიდებული მოგოლის სპასალარმა. დირინეს არაჩვეულებრივმა სიტურფე-სილამაზემ მოხიბლა მეომარი, რომელმაც თავი ველარ შეიკავა, არ მიაქცია ყურადღება დირინეს ხვეწნა-მუდარას, შეისვა იგი ცხენზე და გააქანა...

დირინეს მეუღლე—განგო, დიდი ხნის ლოდინსა და ძებნას შემდეგ დარწმუნდა, რომ უდროვოთ დაკარგა საყვარელი მეუღლე. დღედამე განგო თავის ქოხის წინ იჯდა გაიყურებოდა მდინარისკენ, სადაც შთაინთქა მისი ამქვეყნიური ბედნიერება. დირინეს შემდეგ მისთვის უქმურათ და უშინაარსოთ ვლიდა დღეები, თვეები და წლები. მთელი თვისი ვაება კაეშნიან სიმღერაში გამოხატა და ამ ნაღვლიან სიმღერას არე-მარეს ფენდა, როცა სატრფოს დაეძებდა.

გაიარა ოთხმა წელიწადმა. ერთხელ, როცა განგო მდინარის პირათ დაღონებული გაიმღეროდა, შემოესმა თავის სახელი.

განგომ სიმღერა შესწყვიტა.

— ჩემო განგო!—კვლავ მოესმა ხმა.

ეს მოჩვენება აღარ იყო... აშკარათ მოესმა ხმა თვით დირინესი და სიხარულისგან ათრთოლებული ხელები კისერზე შემოეჭდო განგოს, რომელიც აცრემლებული თვალებით მისჩერებოდა თავის დირინეს. ორივეს თვალებში აშკარათ ამოიკითხავდით, რომ მათში უმალ ღვიოდა ძველებურათ გრძნობა სიყვარულისა, რომ თითოეული მათგანი უზომოთ იტანჯებოდა ერთმანეთს დაშორებული.

დირინეს სირცხვილისგან სიტყვა უწყდებოდა, როცა ის განგოს მოუყვა თავის უბედურებას... როგორ ვერაგულათ გაიტაცა იგი მხედარმა, ჩაამწყვდია და თვისი ჟინის მონათ გახადა.

— ახლა ხომ გათავისუფლდი?

— მას შემდეგ, რაც შვილი შემეძინა, იმას აღარ ეშინოდა, თუ კიდევ გავექცეოდი.

როცა დირინემ ბავშის გაჩენა მოიხსენია, ორივემ თავები ჩაღუნეს. განგოს გული იჭვიანობამ კი არ შეაშფოთა, არამედ შიშისა და მწუხარების გრძნობამ: ახლათ დაკავშირებას ჩირქმიცხებულ დირინესთან უკრძალავდა არსებული, შეუბრალებელი კანონი... იმათ სიხარულს ცრემლები მოყვა.

— განგო!—წადი მსაჯულთან. არა

ეროვნული ბიბლიოთეკა


**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში.

ბორჯომის წყალი

| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი |
|---|---|---|---|---|
| | ½ | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| | ½ | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ქუთ-ტუკი № 20 | ½ | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩა

მოეწყობა ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახლ-ჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სახლ-ჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.


მგონია, გასავალი გზა არ იყოს ჩვენი უბედურებიდან. ჩვენ ვიტანჯებოდით, დანაშაულობა არა მიგვიძღვის.

ამ დროს მახლობელი ბუჩქნარიდან გამოირბინა დირინესკენ პაწია ტურფა გოგონამ და გაკვირვებით შეხედა უცხო კაცს. განგომ ბავშს თავზე ხელი გადაუსვა.

— მაშ წავიდეთ მსაჯულებთან!—სთქვა განგომ.

დირინემ ბავში აიყვანა და გაყვა ქმარს.

მსაჯული იმათ გულდასმით უსმენდა და თან სასტიკათ ათვალიერებდა.

— მოისმინეთ ჩემი გადაწყვეტილებაც!—დაიწყო მან.—შენ, დირინე, გეპატიება ყოველივე დანაშაულობა, ვინაიდან მწამს შენი სიტყვები; ქმრის მოწმობა და აგრეთვე იმიტომ, რომ როგორც-კი შემთხვევა მოგეცა, სიხარულით დაუბრუნდი საბრალო ქმარს. ამით ელება ბოლო შენს ტანჯვას, და ამასთანავე უნდა მოისპოს შედეგიც შენი ყოფილი უკანონო კავშირისა.

მსაჯულის ბოლო სიტყვების გაგონებაზე, დირინეს გაუქრა სახიდან ის ღიმი, რაიც იმას ალებექდა მსაჯულის საუბრის დაწყების დროს და მთელი ტანით აცახცახებულმა ბავში მაგრათ გულზე მიიკრა.

— გადაწყვეტილების ხომ კმაყოფილი ხარ, დირინე?—შეეკითხა მსაჯული.

— კი,—მაგრამ ჩემი ბავში?

— შენი ბავში? ბავში ნაყოფია სიყვარულისა: ბავშს დედ-მამა ყავს. შენ კი ხელთ გიკავია ნაყოფი შენი სირცხვილისა!

— კი, მაგრამ მაინც ეს ხომ ჩემი შვილია?

— შეიძლება, ეგ შვილი იყოს შენი სხეულისა, და არა გულისა: ეგ დაიბადა ძალმომრეობისა და დანაშაულობისაგან და აქვეა დასაწყისი შენი წყევლისა და ტანჯვა-ვაების.

— ნუ დამიწყევლი, მსაჯულო, ეს ჩემი ღვიძლი შვილია.—გააწყვეტია დირინემ მსაჯულს.

— განა შენ აგრე გაშფოთებს სიცოცხლე მაგ ბავშისა? აბა, დაუფიქრდი, რას ჩადიხარ! პირუტყული ქინი შენი გამტაცებლისა შენში იწვევდა მხოლოდ ზიზღსა და სიძულვარეს. შენა გძულს მამა მაგ ბავშისა, მზათა ხარ დასწყევლო იმისი ხსენებაც კი და ეგ ბავში ხომ იმისგან გაგიჩნდა.

— ეს ჩემი შვილია!

— შენი პასუხი ისევე დაბალი ხარისხისაა, როგორათაც თვით დანაშაულობა. შენ ღირსი ხარ, რომ იმ მტაცებელის ხასათ იყო. აგრე უაზროთ მხოლოდ მაიმუნებს უყვართ თავიანთი ლეკვები. დაბრუნდი იქ, საიდანაც მოხველი. შენ არადროს განგო არ გყვარებია, მისთვის არ გინაღვლია!.. სტირი? არ გინდა დამორჩილდე? მაშ ან ბავში უნდა დაიღუპოს, ან შენ თითონ უნდა სხვერპლათ შეეწირო. ეს ჩემი უკანასკნელი გადაწყვეტილებაა.

აქამდე დაჩოქილი დირინე, წამოიჭრა, დიდხანს უკოცნიდა ბავშს ფუნჩულა ლოყებს, ტუჩებს, გაკვირვებულ თვალებს, შავს კულულებს. შემდეგ ბავში განგოს გადასცა და გადაწყვეტით წარმოსთქვა:— „მე მომკალით!".

— დედაკაცო!—დარიგებით ეუბნებოდა მსაჯული,—რატომ არ დაფიქრდები? შენ გიყვარს ქმარი, რომელთანაც დაბრუნებულხარ და ამასთანავე ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე სიცოცხლეს სწირავ, რომ სიკვდილიდან დაიხსნა ცოცხამამხილებელი შენი სირცხვილისა.

— იგი ჩემი შვილია!—წყნარად წარმოსთქვა დირინემ და მორჩილებით კისერი გააშვირა. ჯალათი მახვილით თავს წაადგა.

— მაშ მოკვდი, უგუნურო!—შესძახა მსაჯულმა, არაბმა დირინეს თვალებზე წითელი შალი გადააფარა, კისრიდან თმები მოაშორა და...

. . . . . .

არაბის მახვილი სისხლით აღარ შეიღება. როცა გაკვირვებულმა დირინემ თვალები გაახილა, მის წინ სიამოვნებით მოღიმარი მსაჯული იდგა.

— გაყევი ქმარს და წაიყვანე შენი ბავშიც. შენ ხარ მეუღლე და დედა ღვთისგან გაჩენილი კაცობრიობისთვის სამაგალითოდ და სასიხარულოთ!

შენი გული—ცოცხალი ნაკადული ყოფილა რწმენისა, ძლიერებისა და კდემამოსილებისა...

**გ. ა—ცხელი.**

## პატარა ფელეტონი.

**„ეშმაკის" საიდუმლო უსტარი "თაგუნასადმი" მინაწერი.**

**ძმაო** თაგუნა!

ნუ გაგიკვირდება, რომ „ეშმაკი" „თაგუნას" ძმათ გიწოდებ...

დარვინის თეორიით ხომ ყველაფერი თანდათან ვითარდება, „ფერს იცვლის!"...

მოსალოდნელია—ოდესმე ისე „გადასხვაფერდე" შენც, რომ ეშმაკათ გადაიქცე და სისხლითა და ხორცით ჩემი ნამდვილი ძმა შეიქნე.

აქვე უნდა შეგნიშნო, რომ შენ იქნები უნცროსი ძმა,, რადგან ამ დროს განმავლობაში ხომ არც ჩემი განვითარების პროცესი გაიყინება ერთ წერტილზე... ჩემი ტიპიც იმდენათ „გადასხვაფერდება", რომ შენი „ეშმაკების" დროს, შეიძლება, მე ფილიპეთ გადავიქცე,.. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს ამ ბედნიერებისაგან... ყოველივე ხმა ისტორიულ კანონს ემორჩილება და, არ მგონია, ასეთი ნახტომი მომივიდეს, რომ „ეშმაკობიდან" პირდაპირ ფილიპეთ გადავიქცე, მას წინ უძღვის კიდევ სათაელობა, ბელზებლობა და ჯოჯოხეთის სხვა ტარტაროზთა ტიპები და შემდეგ კი თვით ფილიპეობა.:.

და თუ ისტორიამ „აბრუნდი" ქნა და მოინდომა ჩემი „გადასკუპება", ნათქვამი მაქვს ამხანაგებში: ანაბიოზი გამიკეთონ და შეაჩერონ ამგვარი უკულმართი „განვითარების" პროცესი... ასე რომ შენი „ეშმაკობის დროს, მე უსათუოთ სათაელი, ბელზებლი, ან რომელიმე ტარტაროზი ვიქნები.

ასეთ ნიშნებს ახლაც ვამჩნევ: მე უკვე რქები მეზდება, კუდი მიმოკლდება და და შენ კი ამ ბოლო დროს ფეხისა და ხელის თითებ შორის ფრთების მზგავსი რაღაც სიფრიფანა კანი გაგზდია... რაც იმის მამასწავებელია, რომ ჩქარა „ფრთოსანათ" გადაიქცევი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან თაგუნადან ჯერ თაგვი განვითარდა და შემდეგ კი ღამურა და შენც კარგათ იცი, რომ ღამურა ყველა ღამის ფრინველთა ბატონ-პატრონია.. ბოლოს ღამურა კიდევ განვითარდება და მერწმუნე სულ ახლო მომავალში ასრულდება ჩემი ნათქვამი..-

დარვინმა გამიტაცა, საგანს გადავცდი...

შევრცხვით მე და შენ!

თავი არსით გამოგვეყოფა,..

აბა, რასა გავს?!

„ამხედრა მთლათ ქართლი, გარე შემოადგა ქუთაისსა და თფილისს, „იმერეთის", „სახალხო გაზეთისა" და „თემის" რედაქტორები ერთის თოკით შეკრეს და „თანამედროვე ქვეყნისა" და „განთიადის" რედაქციის დირეზე დაყარეს".

„ნაბძანები იყო „შინაურისა" და „სიტყვას" თავები გუდით მირთმეოდა „თანამედროვე ქვეყნის" სარდალს"...

„სიტყვას" ჯერ ვერაფერი ვუხერხე და „შინაური" კი "თანამედროვე ქვეყნის" 31 ივლისის ნუმერში გავხვიე თავით-ფეხამდი და ისე მივართვი სარდალს, მაგრამ დახე უმადურობას, თფილისში დაბრუნებასაც აღარ მოუცადა და იქვე რიონში იბანა: ამდენი სიბინძურის ატანა მე არ შემიძლიაო...

დიდი მზადება გვქირია, რომ „სიტყვა" მაინც არ გაგვექცეს ხელიდან,.. და „განთიადის" რედაქციის დირე დავამშვენოთ მისი თავით..

და თუ აქაც იმედი გაგვიცრუვდა, ის ლა დაგვრჩენია, რომ ავამხედროთ ჩვენჩვენი ქვეყნები...

ჯოჯახეთიდან უკვ მზათა მაქვს პროტესტი; ხელს აწერს მთელი ეშმაკეთი (არც ერთი ანგელოზი არ ურევია, ყველა წმინდა წყლის ეშმაკია: ისე კი არა, რომ სამტრედიიდან გლეხების პროტესტი მოვიდა „განთიადს" და თითქმის ნახევრადი აზნაურები აწერდენ ხელს და წარმოიდგინე ერთი თავადიც კი გამორეოდა..:).

პროტესტის ასლს შენც გიგზავნი ამ უსტართან და მოაწერიებ ხელს და საჩქაროთ გამოგზავნი, შენ იცი...

პროტესტები ეშმაკებიდან და სალამურეთიდან და მიეცეს, იქნება, დასასრული მათ!...

ვის მათაო?!—პროტესტებს! მე სხვაზე კი არა გეუბნები...

**ლელო.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**


## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სალ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. სალ.; სახ. 7 ს. 56 წ. სალ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ,; სახ. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. სალ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. 7 საათ. დილ-
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.



ქ. ქუთაისში (სობოროსთან

ა. თაბაგარის მაღაზიაში

20 ივლისიდან დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა

ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

ფასები ძლიერ დაკლებულია

ხრესილი

## სამკურნალო აბანო

მეირფასი მთის აერზე

ძმ. ყორყოლაძეების

იქვეა ფართო ოთახები მშვენიერი ავეჯეულობით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია თრმოცდაათი საჟენის მანძილზე.

## გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСК

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

**მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.

## „პატოკსან".

„**პატოკსან**" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„**პატოკსან**" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„**პატოკსან**" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„**პატოკსან**" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„**პატოკსან**" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „**გეორგი რუსინოვ და ამხ.**" თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.